



## ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

### განკარგულება №1221

11 აგვისტო 2017 წელი

ქალაქი რუსთავი

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 46-ე მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის შესაბამისად „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების მიზნით, გამოიყოს ადგილები სააგიტაციო მასალების (ბანერები) განთავსებისათვის დანართი N1-ის შესაბამისად.
2. სააგიტაციო მასალების გაკვრისა და გამოფენის მიზნით სტენდების დადგმისათვის განისაზღვროს ადგილები დანართი N2-ის შესაბამისად.
3. სააგიტაციო მასალებისათვის გათვალისწინებულ სტენდებზე თითოეულ სარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას 1 ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).
4. სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია დანართი N3-ში მითითებულ შენობა-ნაგებობებზე.
5. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
6. დაევალოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოაქვეყნოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 ივნისის N840 განკარგულება.
8. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
9. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ზოსტან-ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ნინო ლომიძე

საკრებულოს თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

  


სააგიტაციო მასალების განთავსების მიზნით განსაზღვრული ადგილები

1. მე-19 მიკრო რაიონი - რესტორანი „მადაგონი“ (გაჩერებასთან მდებარე გარე განათების ბოძები)
2. ლეონიძის ქუჩა (ეკლესიიდან 21-ე მიკრო რაიონის ბოლომდე მდებარე გარე განათების ბოძები)
3. ქუთაისის ქუჩა (ავტობაზრობის განაპირა ტერიტორიასთან მდებარე გარე განათების ბოძები)
4. მოდებაძის ქუჩიდან შარტავას ბოლომდე (გარე განათების ბოძები)
5. ფანცულაიას ქუჩა (აღმაშენებლის გამზირიდან ეკლესიამდე მდებარე გარე განათების ბოძები)
6. მესხიშვილის ქუჩა ეკლესიიდან თოდრიას მოედნამდე (გარე განათების ბოძები)
7. მესხიშვილის ქუჩა (თოდრიას მოედნიდან სასტუმროს წინ მდებარე მოედნამდე არსებული გარე განათების ბოძები)
8. თოდრიას ქუჩა (გარე განათების ბოძები)
9. კლდიაშვილის ქუჩა (9 მმ ხერხეულიძის მხარეს მდებარე გარე განათების ბოძები)
10. ქალაქის შემოსასვლელი (ქუთაისის მოედანთან მდებარე გარე განათების ბოძები)
11. მე-7 მიკრო რაიონსა და მე-8 მიკრო რაიონს შორის მაღაზია ვეჯინის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ბოძები)
12. სასტუმროს მოედანთან მდებარე გარე განათების ბოძები
13. მეგობრობის გამზირი (იუსტიციის სახლიდან გონაშვილის სკვერამდე არსებული გარე განათების ბოძები)
14. ხიდი მეგობრობის მოედანთან (მდებარე ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ბოძები)
15. ხიდი კოსტავას გამზირთან (მდებარე ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ბოძები)
16. ფიროსმანის ქუჩა (თეატრთან მდებარე გარე განათების ბოძები)
17. ფიროსმანის ქუჩა (პროკურატურასთან მდებარე გარე განათების ბოძები)
18. რუსთაველის ქუჩა (სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ბოძები)
19. რუსთაველის ქუჩა (მაღაზია „სიხარულთან“ მდებარე გარე განათების ბოძები)
20. ფალიაშვილის ქუჩა (მარჯვენა მხარეს მდებარე გარე განათების ბოძები)

სააგიტაციო მასალების გამოკვრის მიზნით სტენდებისათვის განსაზღვრული ადგილები

1. დავით აღმაშენებლის გამზირი - რესტორანი „მადაგონი“-ს მიმდებარე ტერიტორია
2. ჟიული შარტავას გამზირი - N6-ის მიმდებარე ტერიტორია
3. ლეონიძის ქუჩა - N16-ის მიმდებარე ტერიტორია
4. მესხიშვილის ქუჩა N5 - მაღაზია „ვეჯინი“-ს მიმდებარე ტერიტორია
5. თოდრიის ქუჩა - სტამბის მიმდებარე ტერიტორია
6. მეგობრობის გამზირი - პოლიციის მიმდებარე ტერიტორია
7. მეგობრობის გამზირი - ფოსტის მიმდებარე ტერიტორია
8. მეგობრობის გამზირი - უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორია
9. რუსთაველის გამზირი - ქიმიკოსთა კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორია
10. ბათუმის ქუჩა - ბაზრის მიმდებარე ტერიტორია
11. კოსტავას გამზირი 21-ს მიმდებარე ტერიტორია
12. ფიროსმანის ქუჩა - N19 მიმდებარე ტერიტორია
13. ფიროსმანის ქუჩა - თეატრის მიმდებარე ტერიტორია

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი რომლებზეც აკრძალულია  
სააგიტაციო მასალების განთავსება

1. რელიგიური და საკულტო ნაგებობები
2. კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობები
3. სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შენობების ინტერიერი და ექსტერიერი
4. სასამართლოს შენობა-ნაგებობები
5. პროკურატურის შენობა-ნაგებობები
6. სამხედრო შენაერთების შენობა-ნაგებობები
7. პოლიციის შენობა-ნაგებობები
8. სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების შენობა-ნაგებობები
9. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერი და ექსტერიერი
10. საგზაო ნიშნები
11. საგანმანათლებლო დაწესებულებები
12. ბაგა-ბაღები და სხვა აღმზრდელობითი დაწესებულებები
13. ბიბლიოთეკები
14. მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე
15. ძეგლები და ბიუსტები
16. თეატრის შენობა
17. რუსთავის ციხე სიმაგრე
18. მუზეუმის შენობა
19. კულტურული ხასიათის დაწესებულებები
20. შენობები, სადაც განთავსებულია საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები
21. შარტავასა და ხალხთა მეგობრობის გამზირების რეაბილიტირებული შუა გამყოფი ზოლი
22. რეაბილიტირებული სახლის ფასადები